ასეთი იყო პოლონსკის პირველი შთაბეჭდილებები, რომელთა გადმოცემა სცადა თავის ჩანახატებში.

პოლონსკის ეს ჩანახატები ილუსტრაციების ხასიათს ატარებენ. ამასთან ისინი არც თუ სრულყოფილი არიან შესრულების თვალსაზრისით. პოლონსკი დახელოვდა უფრო გვიან, როდესაც სერიოზულად დაინტერესდა მხატვრობით. ამ მხრივ მის ცხოვრებაში დიდი როლი ითამაშა თბილისმა. აქ ის დაუახლოვდა ცნობილ რუს მხატვარს გრიგოლ გაგარინს, რომელმაც მასზე დიდი გავლენა მოახდინა. პოლონსკი გაგარინის ხშირი სტუმარი იყო. ერთ-ერთ წერილში, რომელიც პეტერბურგიდან მხატვრის ცოლს გაუგზავნა, იგი აღნიშნავდა: „ბრმა და ყრუ უნდა იყო პეტერბურგში, რომ არ ისწავლო სამამაგი დაფასება თქვენი

ა. პოლონსკა გორი



თვალისა (პოლონსკი გულისხმობს გ. გაგარინს). მისი სიყვარულის ხელოვნებასაღი, და მთელი იმ საზღვარს გადგობსა, რომელსაც, შეიონდა ბედნიერება, გავცნობოლი თქვენს სახლში“.

1895 წლის 3 აგვისტოს პოლონსკი წერდა თვით გაგარინს: „თქვენთვის ცნობილია, თავად, ჩემი გატაცება ხელოვნებით, ჩემი პატივისცემა ტალანტებისა, ჩემი სიყვარული მხატვრობისადმი“. მართლაც, პოლონსკი კარგად იცნობდა როგორც ადგილობრივ, ისე რუს მხატვრებს, რომლებიც საქართველოში ჩამოდიოდნენ.

მეგობრული და შემოქმედებითი ურთიერთობა ჰქონდა მას ცნობილ მხატვარ ა. ბაიდემანთან, რომელიც პ. ფედოტოვის და პეტრაშეველ ა. ბალასოვის მეგობარი და ახლობელი იყო.

თბილისში ჩამოსვლის შემდეგ, ა. ბაიდემანი პოლონსკის ბინაზე ცხოვრობდა. პოლონსკის აღმოშენი ვეგლებით ბაიდემანის მიერ შესრულებულ მის პორტრეტებს.

თბილისში პოლონსკი დაუახლოვდა „რუსული მხატვრული ფურცლის“ გამომცემელს გ. ფ. ტიმს, რომელიც კარგად იცნობდა ხელოვნებას. როგორც ირეკვა, პოეტის ასევე დაუახლოვდა რუს არქიტექტორის და არქიტექტურის ისტორიკოსის, ცნობილი გამომცემლის („ქრისტიანული არქიტექტურის ძეგლები საქართველოსა და სომხეთში“, 1885 წ.) ავტორს დ. ი. გრიმს. ერთხანს გრიმც პოლონსკის ბინაში ცხოვრობდა, რასაც მოწმობს პოლონსკის წერილი გ. დანილევისადმი (1851 წ. 10 მარტს). ამ წერილში პოეტს წერს: „ამჟამად ჩემთან ს. ს. ლში გრიმი ცხოვრობს, მან მხარე მოიარა და ემზადება თურქეთში გასამგზავრებლად“.

შესაძლებელია, რომ ამ მხატვრების გაეცნითა და ხელმძღვანელობით პოლონსკიმ დაიწყო სერიოზული მუშაობა: იხატავდა ცალკეულ დეტალებს არქიტექტურული ძეგლებიდან, ასევე სწავლობდა ადამიანის სხეულს, განათების პრობლემებს, პლასტიკას, პროპორციათა კანონზომიერებს. ერთ-ერთი ასეთი სასწავლო ნახატის ქვეშ დამახასიათებელი წარწერაა: „ყველაზე ულამაზო ხაზებს საფუძვლად უდევს ყველაზე მკაცრი მათემატიკური გაანგარიშება; ადამიანის სხეულში ისეთი კანონზომიერებაა, როგორც საუკეთესო არქიტექტურულ ნაწარმოებში“.

სწავლის წლებს ფუჭად არ ჩაუვლია. პოლონსკის აღზომის დათვლიერების შემდეგ ადვილია დარწმუნდეთ იმაში, თუ როგორ ოსტატდება იგი, რა დამაჯერებლობით ხატავს. კარგად წყვეტს სივრცის პრობლემას, კომპოზიციას, რელიეფურობას. ამას ნათლად მოწმობენ მისი სურათები. პოლონსკის ყურადღებას იქცევს თბილისის ყოველდღიური ცხოვრება, ქართლი, კახეთი, მთის აულები. მანხელი თვალით არის დანახული ყოველი დამახასიათებელი კუთხე — ეკლესია იქნება, გლების სახლი, თუ დღეში მისი ქუჩა. საერთოდ სიზუსტე და დაკვირვება დეტალების გამოხატვაში ახასიათებს პოლონსკის ყველა სურათს.

მის ნახატებში დიდი ადგილი უჭირავს თბილისს. მას ძალიან მოსწონდა საქართველოს დედაქალაქის მრავალაიენიანი სახლები, რომლებსაც უმღეროდა არა მარტო ლექსებში და პოეზიაში, არამედ ასახავდა თავის ნახატებშიც. „მხატვრისათვის აღმოჩენა ძველი თბილისი“ — წერდა იგი ლექსში „გასიერება თბილისში“ (1846). მართლაც, ეს უშეუნიერესი და უძველესი ქალაქი შთაგონების წყარო იყო ახალგაზრდა პოეტისა და მხატვრისათვის.

უფრო გვიანდელ წერილში გუტმანსტალისადმი პოლონსკი იძლევა თბილისის პირველ ჩანახატს თავისი ოთახის ფანჯრიდან. ეს ჩანახატი საყურადღებოა იმით, რომ ზუსტად აღდგომისცემს XIX საუკუნის 40-იანი წლების საქართველოს დედაქალაქის თავისებურ სახეს. მასზე ჩვენ ვხედავთ ბანიან სახლებს, ეკლესიებს, მტკვარს; შორს მო-

5 ავტორი იყო სალიტერატურული-მხატვრული სახელმწიფო. საჯარო ბიბლიოთეკისა (ქვეყნდება პირველად).

ნანს მთაწმინდა, მის კალთებზე შეფენილი პატარა შენოსებით. ავტორი მონდომებით ხატავს შენობათა დეტალებს, წინა პლანს. წერილიდან ირკვევა, რომ ეს ალექსანდრეს ყოფილი მოედანია. „ეს ხეი, — წერდა პოლონსკი, — კარგია ღამით. მთა ღამეზე უფრო ბნელია და მთლად ნაღურებითაა დაფარული, რომლებიც შესაძლოა თანავარსკვლავედად მიიღოს!“ პოეტს განსაკუთრებით მთაწმინდა უფარდა, თბილისის ეს პოეტური ადგილი. მას უძღვნა არა მარტო შესანიშნავი პოეტური სტროფები, საინტერესო ნახატიც — „მთაწმინდის ეკლესია თბილისში“, რომელიც ასევე 40-იანი წლებით თარიღდება. კარგადაა გადაწყვეტილი პერსპექტივისა და შუქის პრობლემები, დაკვირვებითაა გამოხატული დეტალები, რაც ნახატს დასრულებულ სახის ანიჭებს. შორს მოჩანს ადამიანთა პატარა ფიგურები, რომლებიც ერთდროულად აცოცხლებენ სურათს და აძლევენ მას გარკვეულ მასშტაბურობას. ყოველივე ამას ლიბიულად ელფერი დაჰყარავს, რაც ასე ღამიანსიათებელია სოლომონისათვის.

როგორც ჩანს, პოლონსკი აფასებდა და უფროსხილდებოდა ამ სურათს. პეტერბურგში დაბრუნების შემდეგ მისი შესანიშნავი ასლი გააკეთა მიკეშინისათვის ნახუკარ ალ. სიმონი 1861 წ. საერთოდ, პოლონსკი არაერთხელ უბრუნებდა იმ სურათებს, რომლებიც საქართველოში გააკეთა, იხატავს და ამუშავებს მათ. პოლონსკის თბილისში ცხოვრების პერიოდს აისახა ისეთ სურათებში, როგორიც არის: „ჩემი უკანასკნელი ბინა თბილისში“ (1851), „ავლაბრის ქოხი თბილისში“, „თბილისის ახლოს აგესალომოვის ბაილიდან“, და მთელ რივ სხვა უწარწერი და უთარილო ნახატებში. ეს სურათები საშუალებას გვაძლევენ წარმოვიდგინოთ ის გარემო და წრე, სადაც ცხოვრობდა და მუშაობდა პოეტი. რაც მთავარია, ეს ჩანახატები წარმოგვიდგენენ თბილისს ისე, როგორც ხედავდა მას პოეტი და მხატვარი პოლონსკი.

აი, პოეტის სადა ბინა, ქალაქდებით მოფენილი დიდი საფერი მაკიდა. ვინ იცის, რამდენი შესანიშნავი პოეტური სანაფიქრი განხორციელდა აქ, ამ მაკიდასთან! პოეტს უფარდა ეს ბინა და ამიტომ დახატა იგი საქართველოდან განსაზღვრების წინ. აგერ, სამი სურათი (1848), რომლებზედაც გამოხატულია კავკასიის მთავარმართებლის სასახლის ბაღის სხვადასხვა კუთხე, ერთ-ერთ მათგანზე გამოხატულია პარკის ცენტრალური ნაწილი, სხვაზე სვედის მომავრეელი მიყრდენული კუთხეები. უცქერი ამ სურათებს და გიკვირს, როგორ გრძობს პოლონსკი ბუნებას, რამდენი სიბოძო შეაქვს მათ ასახვაში. სულ სხვა განცდებს იწვევს სურათი „თბილისის ახლოს“. რამდენი სიხარული და სიხალდეა ამ სურათში, რომელზედაც გლეხის ბანიანი სახლი და პატარა ეკლესია-სამრევლოა აღბეჭდილი!

მხატვრის ყურადღებას იქცევენ თბილისის მკვიდრნიც. ეს ხატავს ქართველ ქალებს აივნაზე და მამაკაცებს ახალუხსა და ფაფახში, დიარაზე დაკვრის მომენტში, მუსლიმანს — ლოცვის დროს, მხიარულ ფეხშიშველა ბიჭს თავზე წყვანილის თაბახით.


აგერ, ქალაქის ვრცელი პანორამა, პოეტის მიერ ავლაბრის ერთ-ერთი სახლის აივნიდან დანახული აი, ქალარა და ზვიადი ნარიყალა, ჩუმი მოწვევ ქართველი ხალხის გმირული წარსულისა! აი, ერთ-ერთი ქართველთაგანი! აგერ, ქალაქის ერთ-ერთი კუთხე და მეთულუხზე განუშორებელი ღოქით მხრებზე...

მხატვრის ყურადღებას იქცევს ღარიბთა ქოხები. ამ მხრივ საინტერესოა სურათი „ავლაბრის ქოხი“. ეს ინტერესი ღარიბებისადმი არ იყო შემთხვევითი. „პოლონსკიმ საქართველოში ის შეამჩნია, რაც აქ ნამყოფ სხვა მწერლებს შეუძნეველი დარჩათ: დიდი ქალაქის სოციალური კონტრასტები, მუშა, ოფლში რომ იწურებოდა მძიმე ტვირთის ქვეშ, სოლოლაკის და ავლაბრის ღატაკთა უბადრევი ცხოვრება, ქუჩიანი ძონძებით შემოსილი ადამიანები“ (გ. შალური „რუსი მწერლები საქართველოს შესახებ“, 1949 წ.).



ა. ი. პოლონსკი აული მთებში

პოლონსკის შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს თბილისშივე შესრულებულ პორტრეტებს. რამდენჯერმე ხატავს თავის სატრფოს — სოფო გულგაზს (1848-1849), რომელიც პროტოტიპად იქცა ქალთა ზოგიერთი სახისათვის პოლონსკის ე. წ. „კავკასიურ ციკლში“; ხატავს მე-



ა. ი. პოლონსკი ივკლა

ა. ი. პოლონსკი დუშეთი



გობრების პორტრეტებს — უმანეის (1849), მხატვარ ა. ბაიდემანის და ნ. როვენსკის, რომელიც ბ. ბელონსკის იცნობდა და ახლოს იყო სტანკევიჩის წრესთან (პორტრეტის წარწერადან ირკვევა, რომ ნ. როვენსკი თბილისშია ნაწყფი). ამ გალერეაში ბერია აგრეთვე უცნობი პირი. პოლონსკის პორტრეტები არა მარტო გარეგნულ მსგავსებას იძლევიან, სახეთა ფსიქოლოგიური დანახათების მხრივაც ძლიერი არიან.

პოლონსკი დაახლოებული იყო თბილისის თეატრთან. მის ჩანახატებში გვხვდება მსახიობთა პორტრეტები. მათ შორის, კომედიური აქტიორის ივანოვისა, რომელთაზე პოეტს მეგობრობა ჰქონდა. ზოგიერთ სურათზე ეს მსახიობი განიხატულია გრიმის კეთების მომენტში.

აქვე, თბილისში პოლონსკი ქმნის კანონულ სურათს, რომელსაც სიცოცხლურ სიმახვილეს აძლევს. პატარა ოთახი, კუთხეში შერბა სარეცხი. ცარიელი მთლიებით სახსე სუფრის ქალი და სამი მამაკაცი უხის. წარწერა ასეთია: „ქალის მიმართ მათ რაღაც განზრახვა აქვთ, ის კი საბოლოო უშიშროებს, ფიქრობს, რომელი უფრო გაბედული აღმოჩნდება“.

პოლონსკის არქივში მოპოვება მასალები, რომლებშიც პოეტი ყურადღებით აღწერს ეროვნულ საოჯახო საგნებს და იწერს ქართულ სახელწოდებებსაც. ამ ინტერესმა საყოფაცხოვრებო საგნებისადმი გამიხატულება ჰპოვა მის ლექსებში, პროზასა და ისტორიულ დრამაში — „დარჯანა — იმერეთის დედოფალი“. მაგრამ პოლონსკი არა მარტო აღწერდა, დეტალურად ხატავდა ყველაფერს. მის აღბრუნებში შეიძლება ნახოთ უამრავი ეტიუდი, რომლებიც სხვადასხვა ტიპებს, საქართველოს ბუნებასა და საყოფაცხოვრებო ნივთებს ასახავენ.

პოლონსკის ნახატებში საკმაო ადგილი უჭირავს ჩვენს ერთ-ერთ უძველეს ქალაქს ქუთაისს. პოეტი ხშირად სტუმარი იყო მისი, ძალიან უყვარდა იგი. აქ დახატა ქალაქის საერთო ხედი რიონის მხრიდან, მკეასრის ეზო, სახლები (1850). მისი განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია ნანგრევებს (ალბათ ვარციხის), რომელიც ჩაუხატავს 1850 წლის სექტემბერში.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ პოლონსკი-მხატვარი საკმაოდ დიდ ყურადღებას უთმობს არქიტექტურულ ძეგლებს. ორჯერ ხატავს „ძველ ციხეს ბორჩალოში“ და ერთ-ერთი ტაძრის ნანგრევებს, როგორც წერდა — „მდ. ბორჩალოს ნაპირის სანაინის ხილთან“ (1847). ამ ნახატებს უემქმეოდა აქვს გარკვეული მეცნიერული მნიშვნელობა.

აქვე პოლონსკი აკეთებს ერთ-ერთ მეტად საინტერესო ჩანახატს „სანაინის ხიდი ბორჩალოში“ (1847), რომელიც ამ პერიოდის მის ნამუშევრებში ყველაზე უფროეთსაა.

ალბათ, ბორჩალოშივცა გავკეთებულ მიწერილ შესანიშნავი სურათიც — „მეცხარეები მუხის ძირას“.

„კავკასიური ციკლის“ შედარებით სრულყოფილ სურათებს პოლონსკი ქმნის საქართველოში ყოფნის უკანასკნელ წლებში (1850-51). სწორედ ამ პერიოდს ეკუთვნის გარკვეული შინაარსის შექცეული და განწყობითი შექმნილი სურათები: „ვაგარიზის (?) სადღური საქართველოში“, „სოფ. ავჯალა მდ. მტკვარზე“, „გორი“, „აული მთებში“ (?), „დუშეთი“ და სხვ. ეს სურათები, სადაც

აღმუშავებულია ქართლის მშვენიერი ბუნების გალივება, მცხუნვარე შუა დღე დუშეთში, ავჯალის კუთხე, აული მთებში, მოწმობენ მხატვრის კულტურას და მის შიაროსატობას. როგორც ჩანს, პოლონსკი გულმოდგინედ ემსახვებოდა სურათის „აული მთებში“ შესაქმნელად. მას გაუკეთებია ეტიუდების და ჩანახატების მთელი წყება. მათ შორის ჩანახატები საყარაულო კომპენსია, რომლებსაც პოეტი ხშირად ხვდებოდა საქართველოში. კომპენი და ნანგრევები ჩანს პოლონსკის ზევრ სხვა სურათშიც, რაც ნათლად მოწმობს იმას, თუ რა ღრმად განუცდია რუს პოეტს ქართული პეიზაჟის თავისებურება.

პოლონსკის მხატვრობაში გარკვეული ადგილი უჭირავს ბატალურ სურათებს. ზოგიერთი მათგანი ცხადყოფს, რომ პოლონსკი იცნობდა მთიულთა ბრძოლების ისტორიას. მის არქივში დაცული ამ თემაზე განზრახული ვრცელი პროზაული ნაწარმოების გვგადა. 1848 წ. შემოდგომაზე პოეტმა დაწერა ნარკვევი „სახთის ალყა“, რომელიც რეალისტურად წარმოგიდგენს ომის საშინელ სურათებს.

სწორედ ამ პერიოდში პოლონსკი ქმნის ბატალურ სურათებს. მხატვარი იტყვევს ჯარისკაცთა სახეობი. ერთ ბატარა სურათზე მთის გზაა გაიხატული. შორს მორჩანს საყარაულო კომპენის კონტურები. წინა პლანზე წყაროა, მთიული ქალი მურჭულს ავსებს წყლით. მის წინ რუსი ჯარისკაცი გაჩერებულია, ალბათ, წყალს სთხოვს. არაფერი უხეში და მიომრული არ არის მის დაქანცულ ფიგურაში. ამიტომ მთიული ქალი უმზობად უყუქვის მას. ქალს სახეზე ჩადრის ჩამოფარებამაც კი დაღვიპულია. რამდენი კეთილშობილური აზრია ჩაქსოვილი ამ დაუმთავრებელ სურათში იგივე იდუა გატარებულია მეორე სურათშიც, რომელიც წარმოგიდგენს ერთ საველ ბანაკთან. უზრადო, დაკრებულ კარავი; ოფიცრები და ჯარისკაცები ესაუბრებიან ჩამოქონჯულ, ფეხშიშველა მთიულს. შვიდი ფიგურები ჭკვიანური სახეებით — ეს ის თავდადებული „კავკასიელი“ მის, ის კეთილშობილი მატსომ მასქინიჩი არიან, რომლებიც მ. ლერინიშტოვის, და ტოლსტოისა და სხვათა აღტაცებას იწვევენ. პოეტ აკად. გ. ლიონიძის აზრით, ამ სურათში ერთ-ერთი ოფიცრითაა გვ. ორბელიანია. (პოლონსკი გ. ორბელიანსაც იცნობდა). მაგრამ პოლონსკი ხატავდა არა მარტო რუს ჯარისკაცებს, 1840 წ. სექტემბერში მას ჩაუხატავს მთიულეთი სროლის დროს. მხატვარმა მათი სახით დანიხა და ასახა ჩვეულებრივი უზარალო აღმანიები. პოლონსკის ბატალური სურათები ჰუმანიზმი-თაა გამსჭვალულია. არა, დამანგრეველი ომი არ უნდა იყოს ამ შესანიშნავ მხატვრის, მას სწირდება განათლება, განვითარება და ამისათვის მშვიდობა. ასეთი იყო პოლონსკის აზრი, როგორც მხატვრისა და პოეტის.

ბუნების სიყვარული პოლონსკი შეინარჩუნა მთელი სიცოცხლის მანძილზე. სწავლობდა ყენჯილი გერასიმის და კავიამისთან, იყო მხატვრული წრის „Понедельник“-ის წევრი, მეგობრობდა აივაზოვის და ცნობილ უნგრელ მხატვარ ზოჩის, ხელმოკლეობის გამო პოლონსკი ყოფდა თავის სურათებს, რომელთაგან ბევრი დაკარგა. დღემდე მონახული სურათებიც ნათლად მეტყველებენ პოეტის დიდ სიყვარულს საქართველოსადმი, წარმოადგენენ ერთ-ერთ საინტერესო ფურცელს რუსი და ქართველი ხულის მრავალსაუკუნოანი მეგობრობის ისტორიიდან.



# ანთიმოზ ივირიელი და პირველი სტამბა არაბეთში

შოთა კურდღელაშვილი

ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი

ორ საუკუნე ნახევარი გავიდა მას შემდეგ, რაც მე-18 საუკუნის დამდეგს ვახტანგ VI ინიციატივით თბილისში სპირეული ეროვნული სტამბა დაარსდა. სტამბური წესით ქართული წიგნების გამოცემამ დასაბამი მისცა ბეჭდვითი სიტყვის განვითარებას საქართველოში.

ქართველმა მეცნიერებმა ჩვენში პირველი ეროვნული სტამბის დაარსების ისტორიას თავის დროზე არ ერთი სიტყვით მიუძღვნეს. ამასთან, უკანასკნელ წლებში გამოქვეყნულმა ზოგიერთმა ახალმა მასალამ, საქართველოში და რუმინეთში ჩატარებულმა მეცნიერულმა კვლევებით, საკმაოდ ნათლად გამოავლინეს ის მეტად დიდი ღვაწლი, რაც პირველი ქართული ეროვნული სტამბის დაარსების საქმეში მიუძღვის რუმინეთში სახელმწიფოებელ ქართველ მამულშიშის ანთიმოზ ივირიელს.

უკანასკნელი წლების მეცნიერული კვლევა-ძიება საუბრობს იმდენად დადებითად, რომ ვახტანგ VI თხოვნით თბილისში სტამბის გასამართავად ანთიმოზმა რუმინეთიდან გამოიწვინა არა მარტო თავისი უნაროვლადები მოწვევით — მესტამბე მიახლი იზტავანოვი (სტეფანოვიჩი, სტეფანევილი), არამედ თვით ამ სტამბის მოწყობილობა და რუმინეთშივე ანთიმოზის მიერ დამზადებული ნუსხასეუერი შროფტი (პუანსონები).

ვახტანგ VI ინიციატივითა და ანთიმოზ ივირიელის შევალთ ხელისწყობით თბილისში 1708 — 1709 წლებში დაარსებული სტამბა პირველი ეროვნული სტამბა იყო არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს აზიურ და იბერიკავსაშიაც. როგორც სჩანს, აღნიშნულმა გარემოებამ განაპირობა ის ისტორიული ფაქტი, რომ მე-18 საუკუნის დამდეგს რუმინეთიდან საქართველოში გადმონერევილი წიგნის სტამბური ბეჭდვის ტრადიცია მე-19 საუკუნის დამდეგს სწორედ საქართველოდან იწყებს გავრცელებას ჩვენს მეზობლად მდებარე აღმოსავლეთის ზოგ ქვეყანაში. 1823 წელს თეირანში პირველი ეროვნული სტამბა გახსნის მოძრავე შრიფტით დაარსა ირანის შაჰის კარზე მხრებულმა მუათამადულ დაღლად მოღვაწელმა ქართველმა მანუელ-ხან გურჯამა I. ასევე 1829 — 1830 წლებში ირანის დედაქალაქ ბაღდადში პირველი ეროვნული სტამბა გახსნათა მუჰამედ ბაქირ თბილისელად ქვეყნის მართავს ქართველმა მამულშიშელმა, თბილისეამ ამ წლებში მარჯვლად ირანის ქართველ მამულე განმეგებელთა უკანასკნელი წარმომადგენელი დაუდ-ფაშა მანგელაშვილი — ბოროლაშვილი<sup>2</sup>.

ეს ფაქტები ნათლად მეტყველებენ, რომ უცხოეთში ვახტანგის ქართული მამულშიშელობა ამ ორ ქვეყანაშიც ებერეულად და ხაყოფიერ საქმიანობას ეწეოდნენ და იქ ბეჭდვითი სიტყვის დანერგვით მცირე წყლიანი როდი შეპ-

ქონდათ ირანულ და ერაყულ ხალხთა კულტურის აღორძინებასა და განვითარებაში.

ქარვად არის ცნობილი აგრეთვე, თუ რა მადლიერებით იხსენიებს დღეს რუმინელი ხალხი იმ დიდი ამავს, რომელიც იქ ვახტანგის მამულში ივირიელმა დასდო საკუთრივ რუმინეთში ეროვნული ბეჭდვითი სიტყვის აღორძინებას და შემდგომ განვითარებას მე-17 და მე-18 საუკუნეებში მიუხანვე<sup>3</sup>. საქმარისია აღინიშნოს, რომ რუმინეთში ანთიმოზმა სამოცამდე წიგნი დაბეჭდა რუმინულ, ბერძნულ, სლავურ და არაბულ ენებზე<sup>4</sup>.

ამ ნაშრომში მინდა შეძლებისდაგვარად გავაშუქო სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე ნაკლებად შესწავლილი საკითხი — მე-18 საუკუნის დამდეგს არაბეთში პირველი ეროვნული სტამბის დაარსების ისტორია, როგორც ირკვევა, იმავე ანთიმოზ ივირიელს არაბეთში პირველი ეროვნული სტამბის გამართვის საქმეში ისეთივე დიდი როლი შეუსრულებია, როგორც ვახტანგ VI ინიციატივით წამოწყებული პირველი ქართული სტამბის დაარსებაში.

როგორც აღვნიშნეთ, რუმინეთში ანთიმოზ ივირიელი წიგნებს ბეჭდავდა არა მარტო რუმინულ, ბერძნულ და სლავურ ენებზე, არამედ არაბულ ენაზედაც. პირველი არაბული წიგნი, არაბულ და ბერძნულ ენებზე გამოცემული, ანთიმოზმა 1701 წელს სნაჯოვის სამონასტრო სტამბაში დაბეჭდა. ეს იყო „წიგნი წმ. სამთაწაირისა“, ანუ „კონდაკი“. ამ წიგნის პირველი აღწერალობა გუჯრეთის ევროპულ ორიენტალისტს მუსტარს, იხ. მისი 1811 წელს დაბეჭდილი არაბულ გამოცემათა კატალოგი, № 225.

მეორე არაბული წიგნი — „წიგნი ოროლოჯიონისა“, ანუ „ჟამნი“ ანთიმოზმა გამოსცა ბუქარესტში მომდევნო 1702 წელს. ანთიმოზის ეს მეორე არაბული გამოცემა აღწერა მე-19 საუკუნის დამდეგს ცნობილმა ფრანკმა ორიენტალისტმა სილვესტრ დე სასიმ<sup>5</sup>, ხოლო, ვასული საუკუნის დამდეგს სილვესტრ დე სასის თანამემამულემ ენკულპიკიმ ანთიმოზის მიერ ბუქარესტში დაბეჭდილი „ჟამნის“ სილვესტრ დე სასისეული აღწერალობა<sup>6</sup> ვადაბეჭდა ანთიმოზ ივირიელისადმი მიძღვნილ თავის შრომაში<sup>7</sup>.

როგორც ხედავთ, მე-18 საუკუნის დამდეგს ანთიმოზ რუმინეთში ხელი მიუყვია არაბული წიგნების ბეჭდვისათვის. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ევროპის სხვა ქვეყნებში არაბული შრიფტით წიგნების ბეჭდვა ბევრად უფრო ადვილი იყო შემოქმედება, ვიდრე რუმინეთში და საკუთრივ არაბეთშიცა. სპეციალურ სააღმოსავლეთმცოდნეო ლიტერატურაში დღემდე გავრცელებულია ის აზრი, რომ არაბებმა

<sup>1</sup> ი. კოლაშვილი. „შვიდსწავლთ და გამოცემულით“, „ცისკარი“, № 4, 1958 წ., გვ. 153 — 154. პროფ. სვიდ ნაიბის, იტსტრატეგული ბეჭდვის ხელოვნება ირანში; „ფაშაშ ნოუ“, თეირანი, 1946 წ., № 4, გვ. 151 — 157. Browne, E. G. Press and Poetry of Modern Persia. Cambridge, 1914, p. 1 — 12.

<sup>2</sup> Al-Azawi, A. Histoire de l'Iraq. vol. VI, Gouvernement des Mamelukes 1749—1831, Arabic text, Bagdad, 1954, p. 283. — ზემოაღნიშნავი, ქართველ მამულშეთა შპრანებლობა ირანში მე-18, მე-19 ს. ს. სპეკ. მეცნ. აკად. შობამე, ტ. V, № 7, იბ. 1944 წ., გვ. 736 — 737.

<sup>3</sup> История Румынии под ред. М. Поллера. М. 1950 г. стр. 184.

<sup>4</sup> Picot, E. Notice biographique et bibliographique sur l'imprimeur Anthime d'Ivri...Publication de l'Ecole des Langues Orientales vivantes. II-e serie, vol. IX, Paris, 1886, p. 529—560.

<sup>5</sup> Schnurrer, Bibliotheca Arabica. Halle, 1811, p. 266—272. <sup>6</sup> Sylvestre de Sacy, Magazin encyclopedique. Paris, 1814, p. 197—201.

<sup>7</sup> Ibidem. <sup>8</sup> Picot, E. Op. cit. p. 542—544.

წიგნების სტამბური წესით ბეჭდვა გაიცნეს ეგვიპტეში ნაპოლონ ბონაპარტეს სამხედრო ლაშქრობის დროს. ფრანგების მიერ 1799 წელს კარიზში მოწყობილი პატარა სამხედრო სტამბის წყალობით, თითქმის მანამდე არაბულ აღმოსავლეთში წიგნების სტამბური წესით ბეჭდვა არა ყოფილა შემოღებული.

ნაპოლეონის ეგვიპტიის დროს ფრანგთა მიერ კარიზში დაარსებული სამხედრო სტამბის საქმიანობას მტად ეფემერული ხასიათი ჰქონდა და მისი მოქმედება ეგვიპტელან ფრანგ დაპყრობითა განდევნასთან ერთად შესწყდა (1801 წ.). არსებითად, პირველი ეროვნული სტამბა საუკეთესო ეგვიპტელ დარად და ეგვიპტის გამოჩენილი მხარეთმცოდნის მუჰამედ ალის ინიციატივით, 1821 წელს, კარიზს ვერტუბან ბულაკში, ხოლო თვით სტამბა და მისი მოწყობილობა ეგვიპტის განმეტყველმა იტალიელან ჩამოატანინა. რაც შეეხება არაბულ აღმოსავლეთის საერთოდ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, პირველი ეროვნული სტამბა არაბულში, კერძოდ კი სირიაში, გამართულ იქნა ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის დამდეგს ქართველი მამულისშეღობის ანთიმოზ ივერიელის აქტიური და უშუალო ხელისწყობით.

ვიმერტო, რომინეთში ეროპაში არ იყო არც პირველი და არც ერთადერთი ქვეყანა, სადაც არაბულზე უფრო ადრე ეგვიპტულმა მიჰყვეს ხელი არაბული წიგნების ბეჭდვას. პირველი არაბული წიგნი დაიბეჭდა ქ. ფანოში ჯერ კიდევ 1514 წელს გრაგორ გრაგორიუსის სტამბაში, რომის პაპის ფილიპო II სახით. 1516 წელს მესტამბე მეტრე-პაველ ფარსნა განუწყო გამოსცა არაბული „სახარება“. პარიზში მესტამბეებს არაბული წიგნების ბეჭდვას ხელი მიჰყვეს 1538 წლიდან. ხოლო, 1622 წელს არაბული წიგნების ბეჭდვა დაიწყო რომის პაპის პოლუს IV მიერ რომში დაარსებულმა ვატიკანის სტამბაში. ამაზე ცოტა ადრე, მე-16 საუკუნის მიწურულში (1591 — 1595) არაბული წიგნების სტამბური წესით გამოცემულ შემოიღო ლეიფენში ცნობილმა პოლანდიელმა ორიენტალისტმა რაფაელენგიუსმა<sup>10</sup>.

როგორც ვხედავთ, ევროპის სხვა ქვეყნებში სტამბური წესით არაბული წიგნების გამოცემა თითქმის ორი საუკუნე-ით ადრე იყო შემოღებული, ვიდრე ანთიმოზ ივერიელი დაიწყებდა არაბული წიგნების ბეჭდვას რომინეთში. გასაკვირვებელია მხოლოდ საკითხი — რომინეთში არაბული წიგნების ბეჭდვის შემოღებისას ანთიმოზმა თვითონ დაამზადა არაბული შრიფტი, თუ ეს შრიფტი ევროპის იმ ქვეყნიდან შემოიტანა, სადაც არაბულად ბეჭდვის ტრადიცია უფრო ადრე იყო დანერგილი?

ამ საკითხის გარკვევას ვამოცადებდნენ ანთიმოზ ივერიელის მიერ რომინეთში გამოცემულ არაბულ წიგნებში დარბული ანდერძები. ასე, მაგალითად, 1702 წელს ბუქარესტში გამოცემულ „ქამსა“ 732 ვერგზე არაბულად დაბეჭდილი აქვს თვით ანთიმოზ ივერიელის ანდერძი, სადაც იგი წერს:

„ვერგები და ვაფუცებ, ძმანო პატოისანსო, რომელნი ცოთხაბდო წიგნსა ამას, რათა შეინდოთ მბეჭდველსა ამისსა ცოთხაბდოზენი და სიმრულენი, რომელ მექვსს, ვინათან არაბული ენა უცხოა ჩემთვის და მე, ვითარცა კაცი, ცოთხილი ვარ და ცვდები, რამეთუ არავინ არს სრული, ვარნა ღმერთი მხოლო. დაბეჭდა ბუქარესტსა უნჯროვლანეთისსა, ხელითა ანთიმოზ მღვდელ-მონაზვნისსა, ძირად ქართველისა, წელსა 1702 ქრისტესით. თვესა ზაზარისანსა (ივნისსა) 11.“

რომინელმა აკადემიკოსმა ბ. კონსტანტინესკო-იაშვიმ 1951 წელს გამოაქვეყნა სპეციალური ნაშრომი რომინეთ-საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა შესახებ, სა-

დაც იგი ვრცლად აშუქებს ანთიმოზ ივერიელის ცხოვრებას და მოღვაწეობას<sup>12</sup>. სხვა მასალებთან ერთად ნაშრომში რუმინულ აკადემიკოს მოაკეს ანთიმოზ ივერიელის მიერ სწავილის სამონასტრო სტამბაში 1701 წელს გამოცემულ არაბულ „კონდაკი“ დართული წინასიტყვაობა, რომელიც ანტიოქიის პატრიარქს ათანასე IV ეძღვნის<sup>13</sup>.

თავის წინასიტყვაობაში ათანასე პატრიარქი იტყობინება: „აღვიწოდებთნი ყოფნისას თხოვნით მივმართე მოსვარ კონსტანტინე ბრანკოვანეს დამხმარებელად არაბულ წიგნების ბეჭდვის შემოღების საქმეში“. „... მისმა უმაღლესობამ, მთავარმა კონსტანტინე ბრანკოვანემ, დაუყოვნებლოდ შეისმინა ჩვენი თხოვნა და ამ საქმის შესრულებას დაავალა მისი უმაღლესობასთან მყოფ კონიერ მესტამბე-კეთილშესახურ მღვდელ-მონაზონს ანთიმოზ ივერიელს. ბრანკოვანემ ანთიმოზ ივერიელს უხევა მისცა სახარება თანხა და დაავალა, ფაქიზად შეერჩია არაბული ასოების დაგმუნდების ახალი არაბული შრიფტი და არაბულ ბეჭდვებზე ენებზე დაეხეებდა.“<sup>14</sup> „წმ. საძთა აქათაწიწიწი წიგნი“<sup>14</sup>.

ამრიგად, ანთიმოზ ივერიელის მიერ დაბეჭდილ „კონდაკი“ დართული ანტიოქიის პატრიარქის ათანასეს წინასიტყვაობა სასენიზით სათულებს, რომ 1701 და 1702 წლებში ანთიმოზის მიერ რომინეთში დაბეჭდილი ორივე არაბული წიგნი „კონდაკი“ და „ქამნი“ გამოცემული ყოფილა ანტიოქიის პატრიარქის ათანასე IV სპეციალურად დაკვეთით და რომ ამ არაბული წიგნების დასაბეჭდად არაბული შრიფტი ანთიმოზს უცხოეთიდან კი არ შემოიტანინა რომინეთში, არამედ სათანადო კალიგრაფიული ხელნაწერების მიხედვით თვითონვე შეურჩევია შესაფერისი არაბული ასოები და არაბული შრიფტი თვითონვე დაუმზადებია და ჩამოესხაძს.

ეს ფაქტი უთუოდ იმაზე მეტყველებს, რომ ანთიმოზ ივერიელ დახლოებული იყო სტამბის ოსტატთა ყოფილა, რად განაც, როგორც საყოველთაოდ არის აღიარებული, არაბული სასტამბო შრიფტის დამზადება არაბული დამწერლობის სპეციფიკით გამოწვეულ მრავალ დამკვირვებას და სძინდელს ხვდება. საქმარისა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ დრომდე საფარანგეთის ეროვნულ სახელმწიფო სტამბაში, რომელიც აღმოსავლური შრიფტებითა და სათანადო კალიგრაფიული კადრებით ყველაზე უფრო მდიდარა მთელს მსოფლიოში; არაბული წიგნების საბეჭდავად არაბული შრიფტი კლასიფიცირებული იყო 480 (საუკუნულ ბოლოდ და მხოლოდ ამ რამდენიმე წელს წინ მთხერხბად მათ 152 ბუღმდელ დაყვანა. ამ რეფორმამ ფრანგ მღვდლებს საშუალება მისცა ამჯერად უკვე ლინტატის საშუალებით აეწყოთ არაბული ტექსტები<sup>15</sup>.

ამრიგად მე-18 საუკუნის დამდეგს რომინეთში დაიწყო არაბული წიგნების ბეჭდვა ანტიოქიის პატრიარქის, სწორედ იმ ათანასე IV დაკვეთით, რომელმაც სულ ორიოდ წელს შემდგ (1706 წლიდან) თვითონ მიჰყო ხელი არაბული წიგნების გამოცემას სამშობლოში, სირიის ქალაქ პალაში; ამ გარემოებამ საფუძველი მისცა ჯერ კიდევ გასული საუკუნის დამდეგს ევროპელი მკვლევარს მწერტრის ევარუნდა, რომ ათანასე პატრიარქმა პალაში არაბული სტამბის დასარსებლად სტამბის მოწყობილობა და ანთიმოზ ივერიელის მიერ დამზადებული არაბული შრიფტი სირიაში რომინეთიდან ჩაიტანაო<sup>16</sup>.

<sup>12</sup> Constantinescu—Iași, P. Lețtarile tărilor Romine cu Gorgia (Antim Ivreanu). „Studii și articole de istoric...“, RPI 1951, № 4.

<sup>13</sup> Op. cit. p. 164-165.

<sup>14</sup> Ibidem.

<sup>15</sup> Heйбур, K. Cокровина французской национальной типографии. 1958, стр. 68.

<sup>16</sup> Schnurrer, op. cit. p. 271.

<sup>9</sup> Булгаков, Ф. И. Иллюстрированная история книгопечатания и типографского искусства. ч. I, СПб, 1889, стр. 136.

<sup>10</sup> Books of the Orient. Leiden, 1957, p. VIII—XV.

<sup>11</sup> ა. ზანიძე, ქართული სტამბის ისტორიისათვის, „ლტ მშვე.“ წ. I, № 1935, გვ. 176.



გასული საუკუნის დამლევე ანალოგიური მოსაზრება წამოაყენა მკვლევარმა გასტერმა, რომელიც ამასთან დაკავშირებით წერდა: „... ანთიმოზი ძალიან სწავლული კაცი იყო, იცნად არა მარტო რუმინული, ბერძნული და სლავურ, არამედ თურქული, არაბული და, რასაკვირველია, ქართულიც... ანთიმოზი იყო არა მარტო სტამბების დამამარსებელი, არამედ გამოცემების ნიჭით დადილებულზეც და არც თუ უბრალო ხელოვანი. იგი თვითონ სწირდა არა მარტო ახალი ფორმებისა და ინიცილების დიდ წაწილს, რომლებიც მას შემოჰქონდა, არამედ ნაბეჭდი წიგნების ორნამენტებსაც. ანთიმოზი სხვებსაც ასწავლიდა აწყობის ხელოვნებას, და ამით აიხსნება, რამდენ დროს ბუქარეული წიგნების ბეჭდვის ცენტრი გახდა აღმოსავლეთისათვის. ანტიოქიის პატრიარქის თანახმად სტამბების ბეჭდვა 1701 წელს სწავლიდა ანთიმოზმა დაბეჭდა ბერძნულ-არაბული კონდაკი, იგი ამ წიგნის თავფურცელზე თავის თავს „ძირად ქართულად“ უწოდებს... ეს ანთიმოზის მიერ დამზადებული (არაბული) შრიფტი ისევე, როგორც (სტამბის) მიელი მოწყობილობა, მთავარად ბრანკვინმა სასურქარმა მოიზოვა პატრიარქს და ჰალაზში იქნა მიტანილი. ამით საფუძველი დაედა ქრისტიანულ ბეჭდვას აღმოსავლეთში. ამის საძილეო ღირსი მთავარი უღებეს აგრეთვე პირველი წიგნი, რომელიც ამ საბეჭდადთან გამოვიდა ჰალაზში, სახელწოდება ფსალმუნები, იმავე ათანასე პატრიარქის მიერ 1706 წელს ჰალაზში დაბეჭდილი“<sup>17</sup>.

რუმინეთიდან არაბეთში არაბული წიგნების ბეჭდვის ხელოვნების გადამწერგვის ამ ვარაუდს იზიარებენ ეგვიპტელი მკვლევარი იბრაჰიმ აბდუ, რომელიც ამასთან დაკავშირებით წერს: „მე-18 საუკუნის დასაწყისში, დაახლოებით 1706 წელს, ერთმა პატრიარქმა ჰალაზში დააარსა არაბული სტამბა, რომლის შრიფტი, როგორც ამჟამინდელ ჩამოტანილი იყო ბუქარესტიდან. ეს იყო პირველი არაბული სტამბა მთელს ახლო აღმოსავლეთში“<sup>18</sup>.

ახასიათებდა რა სირიის, ეგრძოდ, ქალაქ ჰალაზის კულტურული განვითარების დონეს მე-17 და მე-18 საუკუნეების მიჯნაზე, გამოჩინილი საბჭოთა არაბისტი ე. ი. კრაქოვსკი ხაზგასმით აღნიშნავდა: «Из Aleppo выходят и арабское книгопечатание в начале XVIII в. пересаженое туда из Румынии патриархом Афанасием»<sup>19</sup>.

ამრიგად, შურერის, გასტერის, იბრაჰიმ აბდუსა და კრაქოვსკის შრომებიდან ჩანს, რომ ამ ორიენტალისტთა უმრავლესობა არაბული მე-18 საუკუნის დამლევე პირველი ეროვნული სტამბის მოწყობის იმდროინდელ რუმინეთს, ეგრძოდ კი, ანთიმოზ ივერიელის სახელს უკავშირებს.

გასული საუკუნის ზოგიერთი უცხოელი მკვლევარი ეკვის თვალთა უყურებდა რუმინეთიდან სირიაში ბეჭდვით ხელოვნების გადამწერგვის შესაძლებლობას. ეგრძოდ, ფრანგმა ორიენტალისტმა სილვესტრ დე სასიმ, რომელმაც ეთრევარი განსხვავება შეამჩნია რუმინეთში ანთიმოზ ივერიელის მიერ გამოცემული არაბული წიგნებისა და ათანასე პატრიარქის მიერ ჰალაზში დისტამბული წიგნების ანაბეჭდვებს შორის, ვარაუდს გამოსთქვა, რომ ანთიმოზის მიერ გამოცემული არაბული წიგნები ტყვიის შრიფტით იყო ნაბეჭდი, ხოლო ჰალაზის გამოცემების შრიფტი არის ნაბეჭდილი<sup>20</sup>. ამ მოსაზრებას იზიარებდა სილვესტრ დე სასიმის თანამემამულე ფრანგი მკვლევარი ემილ პიკო, რომელიც ამასთან დაკავშირებით წერდა:

„შურერმა, რომელმაც პირველად გაგვაცნო ეს ძვირფასი წიგნი (საბუბარი ანთიმოზის მიერ სწავლილი 1701 წელს დაბეჭდილი არაბული „კონდაკი“), პიპოთუხა წამოაყენა იბრაჰიმ ანთიმოზის მიერ დამზადებული შრიფტი გადამტანილი იყო ჰალაზში, სადაც შემდეგ გამოყენებული იქნა წიგნების, სახელდობრ, 1706 წელს ქ. ბრანკვინზე ბესარაბას ხარჯით გამოცემული ფსალმუნის საბეჭდად. მაგარამ დასტურებს დე სასიმ უარყოფის პიპოთუხა, მართლაც მის უსაფუძვლოებას დასტურებს ორივე ნაბეჭდი წიგნის ასოების შედარება: მაშინ, როდესაც ანთიმოზის მიერ ხმარებული ასოები ლითონისაგან იყო ჩამოსხმული, ჰალაზისა კი უბრალოდ გამოჭრილი იყო ხისაგან“<sup>21</sup>.

როგორც ვხედავთ, შურერის, გასტერის, იბრაჰიმ აბდუ და კრაქოვსკი ვადგენთ იმ თვალსაზრის ადვანსს, რომ ათანასე პატრიარქმა სტამბა და არაბული შრიფტი ჰალაზში რუმინეთიდან ჩაიტანა. მეორეს მხრივ, ფრანგი მკვლევარები ს. დე სასი და პ. პიკო, ემყარებოდნენ რა რუმინეთსა და ჰალაზში გამოცემული არაბულ წიგნს ანაბეჭდვის ერთგვარ სხვაობას ცილობებზე უარყოფით აღნიშვნებზე დაბეჭდვა დასტურებული მოსაზრება და თავის მხრივ ვარაუდობდნენ, რომ ჰალაზში ხმარებული შრიფტი, ანთიმოზის ლითონის შრიფტისაგან განსხვავებით, ხისა უნდა ყოფილიყო.

ამ საკითხის გარკვევისათვის სერიოზული მნიშვნელობა აქვს ლიბანელი პოეტის სირიის ლუი შეიხის სატეკლოურ ნაშრომს ახლო აღმოსავლეთში პირველი ეროვნული სტამბების დაარსების შესახებ. ამ შრომაში ავტორი სავანელოზ ზერლბა ანტიოქიის პატრიარქ ათანასე IV მიერ ჰალაზში 1705 — 1706 წლებში დაარსებული პირველი არაბული ეროვნული სტამბის ისტორიის საკითხებზე<sup>22</sup>, პროფესორ ლ. შეიხის თვალსაზრისით მთელი საყურადღებო და მნიშვნელოვანია, რომ მას ვათვალისწინებულა აქვს როგორც შურერის, ისე სილვესტრ დე სასიმის საპროსპორი მოსაზრებანი. ამას გარდა, ავტორისთვის კრაქოვსკის თქმით, პროფ. ლ. შეიხი აღიარებულა არაბულ ლიტერატურულ სიძველეთა და ახლო აღმოსავლეთში აირველ სტამბათა დაარსების ისტორიის საუკეთესო მკვლევარ<sup>23</sup>.

პროფ. ლ. შეიხის აღნიშნული ნაშრომის რამდენიმე თავი ეხება სირიასა და ლიბანში პირველი სტამბების დაარსებას და საქმიანობას. ლიბანელი მეცნიერი, მის ხელთ არსებული პირველწყაროებისა და სხვა მასალების მიხედვით, საკმაოდ ვრცლად აშუქებს ათანასე პატრიარქის მიერ ჰალაზში დაარსებული პირველი არაბული სტამბის ისტორიას და დაწერა მისი აღწერა ამ სტამბიდან გამოსულ ნაბეჭდ პოლექციას<sup>24</sup>.

ლიბანელი მეცნიერი წერს: „წინა წიგნი ჩვენს საუბარი ეგვიპტე და ჰალაზში მცხოვრებ ერთ ეგვიპტელ პოეტსა და იმასზე, რომ ლიტერატურული აღორძინება, რადაც დღეს მიელი სირია მოიქცე, სწორედ ქ. ჰალაზიდან დაიწყო მე-18 საუკუნის დამლევეს. ამასთან იმავე ხანებში ქალაქმა ჰალაზმა კიდევ ერთი დიდებაც მოიზიდა; საქმე იმაშია, რომ ქ. ჰალაზმა წინ გაუსწრო ახლო აღმოსავლეთის ყველა ქვეყანას არაბულად წიგნის ბეჭდვის ხელოვნების დანერგვაში. მართალია, ახლო აღმოსავლეთში ადრევე გამოცემა რამდენიმე წიგნი ჩვენს დიდებულ ენაზე, მაგრამ ჰალაზის ეროვნული სტამბის დაარსებამდე ამგვარი წიგნები კონსტანტინოპოლში მარტოოდენ ენაბრული შრიფტით იმეჭდებოდა“<sup>25</sup>. შემდეგ, 1610 წელს, კაზიხაში (სი-

17 ა. შანიძე, დასაბ. ნაშრ., გვ. 166.

18 იბრაჰიმ აბდუ, ეგვიპტული პრესის განვითარება და მისი გავლენა ეგვიპტის კულტურაზე და საზოგადოებრივი განვითარებაზე (არაბულად) კაირო, 1945, გვ. 17 — 18.

19 Крачковский, И. Ю. Избр. Соч. т. II, М.—Л., 1956, стр. 279.

20 Sylvestre de Sacy op. cit. p. 197—201


21 Picot, E. Op. cit. 538—539.

22 ლ. შეიხი, ბეჭდვის ხელოვნების ისტორია მახლობელ აღმოსავლეთში. ბეჭდვის ხელოვნება სირიაში, ჰალაზში. „ალ-მაჰრიკი“, ბეირუტი, 1900 წ. № 7 (არაბულად).


23 Крачковский, И. Ю. Избр. Соч., т. IV, стр. 735.

24 „ალ-მაჰრიკი“, ბეირუტი, 1900 წ. № 8, გვ. 355 — 362. (არაბულად).


25 იქვე, № 2, გვ. 442.



სალმურები (ბზა)



ი. ბ. სტალინის სახლი გორში (ბზა) სიმაღ. 2,5 სმ.



ორნამენტირებული  
ყუთი  
(შავი კაკლის ხე)

კაკლის ხისა და ბზისაგან ნაკეთი ამ მინიატურული ნივთების ავტორია შწია ლოლოშვილი, რომელმაც სულ ორიოდ წლის წინ დაამთავრა თბილისის მზე-საშუალო სკოლა. სკოლის შერჩობის პატარა მაკეტი, რომელიც მან მუყაოდან გაკეთა სკოლის დამთავრებასთან დაკავშირებით, მისი პირველი შემოქმედებითი ნაბიჯი და პირველი წარმატება იყო. იგი გახდა ბიჭი საიწისდი, რომ შწიას სერიოზულად ეცადა თავისი უნარი მკერე პლასტიკის და რთულსა და საინტერესო დარგში, მზიამ მონდომებით დაიწყო მეცადინეობა თბილისის პიონერთა სახსლის ხელმძღვანელთა წარგში, რ. გრუსეიშვილის ხელმძღვანელობით და მალე მნიშვნელოვან შედეგებსაც მიაღწია. მის მიერ კაკლის ხისა და ბზისაგან გამოკეცილი მინიატურული ნივთები, რომლებიც აქ თითქმის ნატურალური ზომითაა წარმოდგენილი, დამუშავების სიფაქიზით და დახვეწილობით გამოირჩევიან. ახალგაზრდა შემოქმედი ოსტატურად იმორჩილებს ისეთ მაგარ მასალას, როგორც კაკალი და ბზა, და პროპორციების, სიმეტრიის, ორნამენტის ნახატის ზუსტი დაცვით ახორციელებს თავის ჩანაფიქრს. ამასთან შწიას კარგი გემოვნება და ფორმის სილამაზის მახვილი გრძნობა აქვს. ეს ვლინდება არა მარტო ცნობილ საქრავებსა და სხვადასხვა საგნებში, რომლებსაც ის თავის პატარა მინიატურებში მოხდენილად, შემოქმედებითად იმეორებს, არამედ, და მით უფრო, საკუთარი ფანტაზიით შექმნილ ორიგინალურ ნაკეთობებში. ასეთია, მაგალითად, ვაჟა-ფშაველას ლექსის „პარფივის“ მოტივზე სიმბოლიურად გადაწყვეტილი საკრავი (მოლიანი კაკლის ხისაგან) არჩივის თავის გამოსახულებით და შვიდი ლარით, რომლებიც საქართველოს კუთვნიებს გამოხატავენ.

შწია ლოლოშვილის ნაკეთობებს დიდი მოწონება ხვდით ახალგაზრდების ნამუშევრების ბრიუსელის გამოფენაზე. მათი ავტორი საპატიო სივდითთა და ფასიანი საჩუქრით იქნა დაჯილდოვებული. ამჟამად შწიას მრავალი საინტერესო ჩანაფიქრი აქვს განსახორციელებელი.




ჩინურები  
(კაკალი და ბზა)







შპია ლილიშვილი




კახური ფანდური

ქველი თბილისური საკრავი



ჩანგი „არწივი“



სვანური ჩანგი

რია) სირიული, ე. წ. ქარშანილი შრიფტით დაიბეჭდა არაბული „ფსალმონი“<sup>26</sup>, ხოლო, რაც შეეხება საკუთრივ არაბულ შრიფტს, არაბეთში იგი ყველაზე პირველად ჩანდება ქ. ჰალაბში მე-18 საუკუნის ათანა წლებში.

სალაშე არაბული სტამბის დარსების ისტორია თითქმის არაბული შეუსწავლელია. დღემდე არაა ცნობილი, თუ რა ვითარებაში დარსდა და ამოქმედდა ეს სტამბა. როგორც ჩანს, ჰალაბის არაბული სტამბის შრიფტი თვით ჰალაბში იყო ამოჭრილი და ჩამოსხმული... მკვლევარმა შეუერთა თავის რეზიში „არაბული გამოცემები“<sup>27</sup> გამოთქვა ვარაუდი, რომ ჰალაბის არაბული სტამბის შრიფტი და ვლახეთის დედაქალაქ ბუქარესტში ხმარდებოდა არაბული შრიფტით ერთი და იგივე რისი. მისი აზრით ბუქარესტიდან ეს შრიფტი ჰალაბში ჩაიტანა ანტიოქიის პატრიარქმა ათანასე IV. შურტერი ეს ვარაუდი საეჭვოდ მიიჩნია ცნობილმა აღმოსავლეთმცოდნე დე სასიმ, რომელმაც აღნიშნა ერთგვარი სხვაობა ბუქარესტისა და ჰალაბის სტამბებში ხმარდებული არაბული შრიფტით გამოცემული წიგნების ანაბეჭდვის შორის<sup>28</sup>.

ყოფილ შემთხვევაში უდავოა, რომ ათანასე IV, მას შემდეგ, რაც პატრიარქი კირილე მესუისის სიკვდილმდე დროებით ანტიოქიის საქრისტიანოს ტახტზე დაინიშნა (1688 წ.), ეთხანობას შეეცადა თავისი ხელისუფლება განემტკიცებინა ჰალაბში იმ პირობით, რომ საჯარო წირვა-ლოცვის დროს იგი პატრიარქად მოეხსენებინათ და მისი სახელის შემდეგ დაეყოლებინათ „ანტიოქიის მომადგენ პატრიარქი“<sup>29</sup>. ხოლო, როდესაც 1720 წელს კირილე V გარდაიცვალა, პატრიარქად ხელდასმული იქნა ათასასე, რომელიც თავის სამწყისოს სიკვდილამდე განაგებდა (1726).

1698 წელს ათანასე პატრიარქმა ვლახეთის ქვეყანაში იმოგზაურა. ვლახეთის მთავარს კონსტანტინე ბრანკოვანეს ეწვია და სთხოვა მას დახმარებოდა არაბულ და ბერძნულ ენებზე სალიტურგო წიგნის გამოცემაში. ვლახეთის მთავარი შეისმინა პატრიარქის თხოვა, აცალკავს გურჯი (ქართული) მღვდელ-მონაზონი ანთიმოზი მიურინა, რომელსაც დაავალა პატრიარქის თხოვნის შესასრულებლად არაბული შრიფტი დაემსაღებინა. ანთიმოზმა მესამე წელიწადს დაამზადა არაბული შრიფტი და 1701 წელს ბუქარესტში არაბულ და ბერძნულ ენებზე ჯერ სალიტურგო წიგნი დაბეჭდა, შემდეგ „კონდაკი“, ორივე ეს წიგნი უსასყიდლოდ გაავრცელა აღმოსავლეთის ქრისტიან მღვდელმსახურთა შორის.

შემდეგ ათანასე პატრიარქი ჰალაბში დაბრუნდა და მიზნად დაისახა ამ ქალაქში ხელახლა დაბეჭდა სალიტურგო წიგნი. ჩვენ არაფერი ვიცით, თუ როგორ მოახერხა პატრიარქმა ათანასემ ჰალაბში არაბული შრიფტის ჩამოსხმა. შესაძლებელია მან ბუქარესტიდან თან ჩაიყვანა მღვდელ-მონაზონი ანთიმოზი, რომელმაც დაუმზადა ახალი არაბული შრიფტი; ანდა, შესაძლებელია, რომ ვლახეთში ყოფილიყო თვით ათანასე პატრიარქი დაეუფლა შრიფტის დაზადების ტექნიკას, ხოლო შემდეგ ეს ხელობა ზოგიერთ ჰალაბელსაც შეასწავლა. უდავო ის არის, რომ პატრიარქმა ათანასემ მაღალი თავის მიზნს და ჰალაბის სტამბურ წესით გამოსცა მთელი რიგი საეკლესიო წიგნები, რასაც დასტურებს ათანასე პატრიარქის მიერ ჰალაბში დაბეჭდილი და ქრონოლოგური წესით დალაგებული იმ წიგნების სია, რომელიც ჩვენთვის ცნობილი არიან და დღესათვის ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს. ამასთან, ჩვენს აღმოსავლურ წიგნთსაცემში ჰალაბის სტამბის გამოცემათა თვით ეგზემპლარი ინახება<sup>30</sup>.

პროფ. ლ. შეხის ჰალაბის სტამბაში ათანასე პატრიარქის

ქის გამოცემულ წიგნებს შორის ასახელებს: „ფსალმონი“ (გამოიცა 1706 წ.); „სახარებას“ (1706 წ.); ოთხეული რობირის თხზულებას... „წიგნი რჩეული მარკოტისა“ (1707 წ.); „წიგნი განდობისა“ (1708 წ.); „სახარებათავენი“ (1708 წ.); „იერუსალიმის პატრიარქ ათანასე ქალაქება“ (1711 წ.); „პარაკლიტკონს“ (1711 წ.)<sup>31</sup> და სხვ.<sup>32</sup>

ჰალაბის სტამბის პროდუქციის ჩამოთვლისა და აღწერის შემდეგ, პროფ. ლ. შეხის დასძენს: ეს არის ყველაზე რი, რაც ჩვენ დამოუკიდებელი ჰალაბის უფესული სტამბის სახებ. ამევე დროს ჩვენ არაფერი ვიცით, თუ როგორ და რულდა ამ სტამბის საქმიანობა, როგორ განადგურდა გაქრა ჰალაბის სტამბის მოწყობილობა და შრიფტი. მხოლოდ 1758 წელს სირიული მართობები, სულმ ხატარა ირთულის ხელმძღვანელობით, კვლავ აარსებენ არაბულ სტამბას ბერუოლოში<sup>32</sup>.

არაბი მეცნიერის დასახელებულ ნაშრომში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მთელი რიგი მტად საეკლესიო გაერმოებანი. როგორცამ ნაშრომთან ჩანს, ანტიოქიის პატრიარქი ათანასე IV უნგრეთსაგანთი ჩასვლა 1698 წელს მთავარს კ. ბრანკოვანესათვის თხოვნის მიგმა თავს, დაეკუზნებოთ მემოილოთ არაბული წიგნების ბეჭდავა. ამ თხოვნის განხორციელება მხოლოდ 1701 წელს ხიზრდებულა, მაშინ, როდესაც ანთიმოზ ივერიელს მოთვებია არაბული შრიფტის დაზადება და სნაგროვოს მოხასხტრო სტამბაში დაუბეჭდავის არაბული-აეროლო „კონდაკი“.

ამრიგად, საკმაოდ გამოდილი და დახვედრეზული მტკამბეს ანთიმოზ ივერიელს არაბული შრიფტის დაზადებისა და მარტოოდენ ერთი არაბული წიგნის სტამბაზე წესით გამოცემისათვის დახლოებობით სამი წელიწადი დატკრევიბია. ეს გარემოება ერთხელ კიდევ აღსტურეზება მიერ არცე გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ უნგრეთსაგანთიდან საქართველოში ეროვნული სტამბის გასამართავად წარმოგზავნილი სტამბის ოსტატ, ანთიმოზის ნაიწყადარი, მიხაილ იშტეკანოვიჩი, რომელი თბილისში დახლოდებოდა 1708 წლის შუა ხანებში ჩამოვიდა, დარჩენილი 6-7 თვეში ვეკავითარ შემთხვევით გემოსაწურება პირველსავე წელიწადს თბილისის სტამბაში ხმარდებოდა ნუსხა-ხუცური შრიფტის დაზადებას და მარტოოდენ ერთი (1709 წ.) წლის მანძილზე სამი საცამბო სქელტანიანი ქართული წიგნის („სახარება“, „დავითის „სამოციქულო“) გამოცემა. იგივე გარემოება საყვარელსა დაზაყრებელს ხდის იმ მოსაზრებას, რომ თბილისის სტამბაში 1709 წელს ხმარდებული ნუსხა-ხუცური შრიფტი ანთიმოზ ივერიელმა არცევე უნგრეთსაგანთი დაამზადა და საქართველოში მესტამბოთ მიხაილ იშტეკანოვიჩს გამოამტკიცა.

რაც შეეხება თვით ჰალაბის სტამბაში გამოცემულ არაბულ შრიფტს, ჩვენს დაზადებულას იტყობის ის გარემოება, რომ ეს შრიფტი უსწრდებოდა და ჩამოსხმული იყო თვით ჰალაბშივე, როგორც ამას ლიბანელი პროფესორი ლ. შეხის აღნიშნავს, რაც თავისთავად იმაზე მეტყველებს, რომ ს. დე სასიმის მიერ გამოთქმული ექვების წიგნთსაც არაბ მეცნიერის ჰალაბის სტამბის შრიფტით უდავოდ ლითონისავე ჩამოსხმულ შრიფტად მიიჩნია.

მტად საეკლესიოზნობა აკრეფე, რომ ახლო აღმოსავლეთში არაბული წიგნების სტამბები წესით მიტვირთის დახვედრისა ლიბანელი პროფესორი უშუალოდ იმდროინდელ უნგრეთსაგანთა და, კერძოდ კი, ანთიმოზ ივერიელის სხეულს უკავშირებს. ამასთან, პროფ. ლ. შეხის რუმინეთიდან არაბეთში ბუჭდვითი სიტყვის გადანერგვის პრაქტიკული განხორციელების შესახებ თავის საკუთარ ორ ვარაუდს გვაწვდის.

პროფ. ლ. შეხის პირველი ვარაუდი, თითქმის ანტიოქიის პატრიარქმა ათანასემ რუმინეთიდან სამშობლოში დაბრუნდა

26 იქვე, № 3, გვ. 254.

27 შურტერი, დასახ. ნაშრ. გვ. 270.

28 ს. დე-სასი, დასახ. ნაშრ. გვ. 289.

29 „ლიბანარი“, გამოცემის პირველი წელი, გვ. 289.

30 „ლი-მარტიკი“, ბერუოლო, 1900 წ., № 8, გვ. 355-362.

31 იქვე.

32 იქვე.



ნების სირიაში თან წაიყოლა ანთიმოზ ივერიელი და პალაში სტამბის გასამართავად ახალი არაბული შრიფტი პალაშივე დამზადდა, ყოველგვარ საფუძვლს და დამატურების მოკლებულად უნდა ჩაითვალოს. როგორც სწამს, ამგვარი მოსაზრების წაოყენებისას, პროფ. ლ. შეიხის ხელთ არა პაქონია ანთიმოზ ივერიელის ბიოგრაფიული მონაცემები, და ამიტომაც ვერ გაუთვალისწინებია ის ფაქტი, რომ პალაშის სტამბის დასრუბის საირვანზაყოლო პერიოდში ე. ი. 1702 — 1706 წლებში, ანთიმოზ ივერიელი რუმინეთიდან არსად არ წასულა და კვლავინფორმურად განაგრძობდა იქ ნაყოფიერ საქმიანეყოლო საქმიანობას, რაზედაც მიუთითებს ის მჭევრმეტყველო ფაქტი, რომ სწორედ 1702 — 1706 წლებში რუმინეთში ანთიმოზმა დაბეჭდა სხვადასხვა სახელოვლების 11 წიგნი.<sup>33</sup>

უფრო დამატურებულად პროფ. ლ. შეიხის მეორე ვარაუდი იმის შესახებ, რომ რუმინეთში ხანგრძლივი ყოფნის დროს თანახმა პატრიარქმა ანთიმოზ ივერიელისაგან შეინწყალა არაბული შრიფტის ჩამოსხმისა და წიგნების აწყობა-დაბეჭდვის ტექნიკა და სირიაში დაბრუნების შემდეგ ეს საქმე ზოგიერთ პალაშელს შეისწავლა. ეს ვარაუდი მით უფრო სარწმუნოა, რომ თანახმა პატრიარქმა რუმინეთში თითქმის ოთხი წელიწადი (1698 — 1702) დაპყრო, რაც სასებულო საქმარისი დროა იმისათვის, რომ საქმით დაინტერესებულმა ადამიანმა საფუძვლიანად შეინწყალა სასტამბო საქმე და კარგად დაეუფლა წიგნების სტამბური წესით გამოცემის იმდროინდელ ტექნიკას.

ამასთან, როგორც სწამს, ოთხი წლის მანძილზე ანთიმოზ ივერიელმა არა მარტო შესარულა თანახმა პატრიარქის დავალები — ე. ი. არა მარტო დაამზადა არაბული შრიფტი და 1701 — 1702 წლებში რუმინეთში გამოსცა ორი არაბული წიგნი „კონდაკი“ და „ქანბი“, არამედ პალაში არაბული სტამბის გასამართავად საშრობლოში გაბრუნებულს თანახმა პატრიარქს თან გაატანა სტამბის მოწყობლობა და მისივე დაკვეთით რუმინეთში დამზადებული არაბული შრიფტი.

ჩვენის აზრით, რუმინეთიდან არაბეთში არაბული შრიფტის გადაგზავნა იმავე საშუალებით განხორციელდა, როგორცადც, სულ ორიოდე წლის შემდეგ, ანთიმოზისეული ნუსხა-ხეცური შრიფტი გამოიგზავნა საქართველოში, ე. ი. პალაში სტამბის გასამართავად თანახმა პატრიარქს ანთიმოზ ივერიელის მიერ რუმინეთში ჩამოსხმული მეთუ არაბული შრიფტ-კასა კი არ გაატანეს, არამედ მარტოოდნე ტყვისი ლიტერების ჩამოსხმულად საჭირო, იმავე ანთიმოზის მიერ დამზადებული ფოლადის არაბული უპანსონები.

არაბეთში და საქართველოში ბეჭდვითი ხელოვნების გადანერგვის მეთოდებში მხოლოდ და მხოლოდ ის განსხვავება იყო, რომ რუმინეთიდან თბილისში გამოგზავნილ სტამბის მოწყობილობას და ანთიმოზისეულ ნუსხა-ხეცურ უპანსონებს თან გამოყოფის თვით სისტატე (მზიხალ იმტანგინიჩი), რადუნადაც მანამდე საქართველოში წიგნის სტამბური წესით ბეჭდვის ხელოვნება სრულყოფილი ახალი საქმე იყო, საქართველოში მოგონებულ უნგრეთელ სტამბის სისტემის თბილისში არამარტო პირველი ეროვნული სტამბის მოწყობა-გამართვა, არამედ მესტამბოთა ეროვნული კადრების მომზადებაც ეკავებოდა. არაბული (სირიაში) ბეჭდვითი ხელოვნების დასაბრუნებად სპეციალური მესტამბე-ინსტრუქტორის გავგზავნა ე საქირო აღარ იყო, რადუნაც მანამდე რუმინეთში თვით პატრიარქ თანახმა შეისწავლის სასტამბო საქმე, კერძოდ არაბული უპანსონების საშუალებით შესატყვისი მატრიცების გაკეთებისა და არაბული ტყვისი ლიტერების ჩამოსხმისა, წიგნის აწყობისა და დაბეჭდვის ტექნიკა, ამიტომ პალაში არაბული სტამბის გასამართავად თანახმა პატრიარქს რუმინეთიდან მარტოოდნე სტამბის მოწყობილობა

და ანთიმოზის მიერ დამზადებული არაბული უპანსონებიც გაატანეს.

ჩვენი ვარაუდი, არაბეთში გადაიგზავნა ანთიმოზის მიერ დამზადებული არა მხოლოდ არაბული შრიფტ-კასა, არამედ მარტოოდნე არაბული უპანსონები.

ამ საკითხის ვარკვეში არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში უკანასკნელ დრომდე ცნობილი იყო ანტიოქიის პატრიარქის თანახმა IV დაკვეთით რუმინეთში ანთიმოზ ივერიელის მიერ 1701 — 1702 წლებში დაბეჭდილი მხოლოდ „წიგნი აღნიშნული ორი არაბული წიგნი: „კონდაკი“ და „ქანბი“. ამ ბოლო დრომდე რუმინეთში მიკვლეული არა ყოფილა ანთიმოზ ივერიელის მიერ 1702 წლის შემდეგ დაბეჭდილი სხვა არაბული გამოცემა. ეს ვარაუდი სრულად შევსებულს ამავე ეკრთიველ მკვლევარებს (შხურერი, ვასტერი) ეკრადუნდა, რომ პალაშის არაბული სტამბის დასაარსებლად თანახმა პატრიარქს რუმინეთიდან გაატანეს ანთიმოზ ივერიელის მიერ დამზადებული მთელი არაბული შრიფტ-კასა.<sup>34</sup>

1945 წლის რუმინელმა მეცნიერმა აურელ დეჩიემ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის შრომებში გამოაქვეყნა წერილი სათარობით: „მე-18 საუკუნეში ბუქარესტში დაბეჭდილი აღმოსავლური გამოცემებისათვის“. ამ წერილში, რომელიც ავტორმა მიიღო ანთიმოზ ივერიელის მიერ 1709 წელს ბუქარესტში ხელმოჭმულ გამოცემული არაბულ-ბერძნული „ქანბის“ აღწერილობას მიუძღვნა.<sup>35</sup> რუმინელი მეცნიერი საკანგებოდ აღნიშნავს, რომ მის მიერ მიკვლეული ეს არაბული წიგნი წარმოადგენს ანთიმოზ ივერიელის მიერ ბუქარესტში 1709 წელს დასტამბულ და სამეცნიერო ლიტერატურაში დიდმდე სრულიად უცნობ არაბულ გამოცემაში.<sup>36</sup>

ის ფაქტი, რომ ამ ბოლო დროს მიკვლეული იქნა ანთიმოზის მიერ ბუქარესტში 1709 წელს გამოცემული არაბული „ქანბის“, ეგზემალიარი, თავისთავად მხოლოდ იმას შეტყვევებს, რომ ანთიმოზს თავის მიერ დამზადებული არაბული შრიფტ-კასა რუმინეთშივე დაუტყვევია თავისათვის, ხოლო ის გარემოება, რომ თანახმა პატრიარქმა პალაში არაბული წიგნების ბეჭდად ამაზე რადუნებე წლით ადრე, კერძოდ, 1706 წელს დაიწყო, მარტოოდნე იმის დაამდასტურებელია, რომ რუმინეთიდან პალაში თანახმაესათვის მთელი არაბული შრიფტ-კასა კი არ გაუტანებიათ, არამედ მხოლოდ ანთიმოზისეული დამზადებული არაბული უპანსონები.

ის ვარკვევა, რომ თანახმა პატრიარქს რუმინეთიდან პალაში მარტოოდნე არაბული ფოლადის უპანსონები ჩაუტანია, სასებულო ვასკვებს ხდის იმ სხვაობას ანთიმოზ ივერიელის მიერ რუმინეთში გამოცემული არაბული წიგნებისა და თანახმა პატრიარქის მიერ პალაში დასტამბული წიგნების ანაბეჭდვის შორის, რაზედაც გასულ საუკუნეში ფრანგი მკვლევრები სილვესტრ დე სასი და ემილ ბოკო მიუთითებდნენ, და რის გამოც ისინი სასებულო მცდარ ვარაუდს გამოსთქვამდნენ, თითქმის ანთიმოზის მიერ რუმინეთში დამზადებული და ჩამოსხმული არაბული შრიფტ-კასაგან განსხვავებით პალაში ხმარებული არაბული შრიფტი ხისა იყო და არა ლითონისა.

ანთიმოზ ივერიელის მიერ რუმინეთში გამოცემული არაბული წიგნებისა და თანახმა პატრიარქის მიერ პალაში დაბეჭდილი წიგნების ანაბეჭდვის შორის სილვესტრ დე სასი მიერ შემწინეული სხვაობა იმითი კი არ უნდა აიხსნას, რომ თითქმის ბუქარესტში ხმარებული შრიფტი ლითონისა იყო, ხოლო პალაში ხმარებული კი ხისა, არამედ მხოლოდ და მხოლოდ იმ ვარკვევით, რომ, ანთიმოზ ივერიელისაგან შედარებით ნაკლებად დახელოვნებულმა მესტამბემ, ანთიმოზის მოწყობე თანახმა პატრიარქ-

<sup>33</sup> იხ. ე. ბოისის და კონსტანტინე-იანის დასახელებული ნაშრომები.  
<sup>34</sup> Deçi, A. Din tipăriturile orientale la București în secolul al XVIII-lea. „Revista Istorică Română“, vol. XV, fasc. III, 1945 p. 565-571.  
<sup>35</sup> Ibidem.

<sup>33</sup> იხ. ე. ბოისის და კონსტანტინე-იანის დასახელებული ნაშრომები.

ქმა ვერ მოახერხა ჰალაში ისეთივე სრულყოფილი არაბული ტყვიის ლიტერების ჩამოსხმა, როგორც უფრო ადრე თვით ანთიმოზმა რუმინეთში იმავე პუანსონების საშუალებით ჩამოსხმა, რომელნიც შემდეგ ანთიმოზმა ათანასე პატრიარქს გაატანა ჰალაში არაბული სტამბის გასართავად.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება შემდეგი კონკრეტული დასკვნები გამოვიტანოთ:

1. მე-18 საუკუნის დამდეგს გამოვიჩინო პირველი ეროვნული სტამბის დარსების ისტორიკოსი იყო ეროვნებით არაბი ქრისტიანი ანტიოქიის პატრიარქი ათანასე IV (1688 — 1724).

2. მე-17 საუკუნის მიწურულში, კერძოდ, 1698 წელს, პატრიარქი ათანასე რუმინეთში ეწვია და თხოვნით მიმართა მთავარ კ. ბრანკოვანეს დახმარებოდა არაბული წიგნების სტამბური წესით ბეჭდვის შემოღების საქმეში.

3. ათანასე პატრიარქის ამ თხოვნის განხორციელება მთავარმა კ. ბრანკოვანემ სახელოვან მესტამებს ანთიმოზ ივერიელს დაავალა და საამისოდ სათანადო ხარჯებიც გაიღო.

4. ათანასე პატრიარქის დაკვეთის შესასრულებლად რუმინეთში ანთიმოზ ივერიელმა თვითონვე შეარჩია კალიგრაფიული ხელოვნების მიხედვით შესაფერისი არაბული ასოები, შეადგინა საჭირო ნახაზები, ამოსტრა და ჩამოსახა ტყვიის არაბული შრიფტი, რასაც დაახლოებით სამი წელიწადი (1698 — 1701) მოაღობა.

5. თავისივე დამზადებული არაბული შრიფტით ანთიმოზ ივერიელმა 1701 — 1702 წლებში პატრიარქ ათანასეს დაკვეთით რუმინეთში დაბეჭდა არაბულ-ბერძნული წიგნი: „კონდაკი“ და „ქანია“.

6. ანთიმოზ ივერიელმა რუმინეთში ანტიოქიის პატრიარქ ათანასე IV ოთხი წლის განმავლობაში (1698 — 1702) შესწავლა სასტამბო საქმე, ანთიმოზის მიერვე დამზადებული ფოლადის არაბული პუანსონების საშუალებით სათანადო მატრიცების დამზადებისა და ტყვიის ლიტერების ჩამოსხმის ტექნიკა, აგრეთვე წვიანა აწყობა-ბეჭდვის ხელოვნება.

7. ათანასე პატრიარქს ჰალაში არაბული სტამბის დასაარსებლად რუმინეთიდან თან გაატანა სტამბის მიწყობილობა და ანთიმოზ ივერიელის მიერ დამზადებული ფოლადის არაბული პუანსონები.

8. ანთიმოზის მიერ რუმინეთიდან გატანებული პუანსონების საშუალებით ათანასე პატრიარქმა თვითონვე დაამზადა სათანადო მატრიცები და თვითონვე ჩამოსახა ტყვიის არაბული ლიტერები.

9. ანთიმოზ ივერიელის მიერ სასტამბო ხელობაში გაწეული პატრიარქი ათანასე, ბუნებრივია, ვერ იქნებოდა მაშინვე დაბეჭდვითი დახელოვნებული და გამოცდილი პუანსონების საშუალებით მატრიცების დამზადებისა და ტყვიის ლიტერების ჩამოსხმის ტექნიკაში, ამიტომ, ცხადია, ანთიმოზის მიერ გატანებული პუანსონებით ათანასე პატრიარქს ვერ მოუხერხებია ისეთივე სრულყოფილი არაბული ლიტერების ჩამოსხმა, როგორც თვით ანთიმოზმა ჩამოსახა რუმინეთში იმავე პუანსონების საშუალებით.

10. ამ ვარაუდებით უნდა აღსანს ერთგვარი სხვაობა ანთიმოზ ივერიელის მიერ რუმინეთში დაბეჭდილი არაბული წიგნებისა და ათანასე პატრიარქის მიერ ჰალაში გამოცემული წიგნების ანაბეჭდვებს შორის, რაზედაც გასული საუკუნის დამდეგს ფრანგი ორიენტალისტი სილვესტრ დე სასი მიუთითებდა.

11. ანტიოქიის პატრიარქის ათანასე IV მიერ ჰალაში დარსებული პირველი არაბული ეროვნული სტამბა მოქმედებდა 1706-დან 1722 წლამდე.

